

№3- 295

25.02.2019



შპს მაჯიდ ალ ფუტაემ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას

მალაზია „კარფურს“

დადიანის ქუჩა 7

მომხმარებელი.ge

www.momxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს

2019 წლის 10 თებერვალს მოქალაქემ გვაცნობა, რომ მალაზია „კარფურში“ (თბილისი, დადიანის ქ. 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“) შეძენილ ხაჭოს და ნადულს არ ჰქონდა ამ პროდუქტებისათვის დამახასიათებელი გემო და კონსისტენცია. ჩვენ შევიძინეთ მომხმარებლის მიერ მითითებული ერთ-ერთი პროდუქტი - ასაწონი „ხაჭო 4%“ და ჩავაბარეთ ლაბორატორიაში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრის მიზნით. ლაბორატორიიდან მიღებული პასუხის მიხედვით, „პროდუქტი რძის ცხიმის გარდა შეიცავს სხვა ცხიმების ნარევეს, მათ შორის მცენარეულ ცხიმებს“.

ლაბორატორიული დასკვნისა და ქვითრების ასლებს, ასევე, პროდუქტის ფოტოს გიგზავნით დანართად.

გთხოვთ მოახდინოთ რეაგირება.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ ინფორმაცია აღწერილი ფაქტის შესახებ გაშუქდა ჩვენს ვებპორტალზე www.momxmarebeli.ge. ინფორმაციაში კონკრეტულად არის მითითებული თქვენი ფირმის დასახელება. იმისთვის, რომ ასეთმა გაშუქებამ თქვენი ინტერესები უსამართლოდ არ დააზიანოს, ჩვენ გაძლევთ საშუალებას დაიცვათ თქვენი ინტერესები შემდეგი შესაძლებლობებით:

- თუ მიგაჩნიათ, რომ ვებპორტალზე თქვენს მიმართ გამოთქმული კრიტიკა არასწორია, თქვენ შეგიძლიათ გამოთქვათ ეს მოსაზრება იქვე, იმავე სტატიაზე კომენტარების საშუალებით. კომენტართან ერთად შეგიძლიათ ატვირთოთ თქვენი სისწორის დამადასტურებელი დოკუმენტები, ფოტოები ან ბმულები. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ თქვენს მიერ ატვირთული მთელი ინფორმაცია უცვლელად, და ჩვენს მიერ გაშუქებული ინფორმაციის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებლებისთვის;
- თუკი ჩვენს მიერ გამოთქმულ კრიტიკას ეთანხმებით, მაგრამ უკვე გამოასწორეთ ის დარღვევა, რომელიც ჩვენს სტატიაშია გაშუქებული, ჩვენ მზად ვართ იგივე მეთოდით გავაშუქოთ ეს გარემოება. ამისთვის თქვენ უნდა დაგვიკავშირდეთ ორგანიზაციის ტელეფონზე და გვაცნობოთ იმის შესახებ, რომ თქვენ გამოასწორეთ დარღვევა და გსურთ ამის დაფიქსირება. ამის შემდეგ ჩვენი წარმომადგენელი გაუფრთხილებლად ეწვევა თქვენს



მიერ მითითებულ მაღაზიას და შეისყიდის თქვენს მიერ მითითებულ სურსათს. მიღებული შედეგები გაშუქდება იმავე გვერდზე, სადაც აღმოჩენილ დარღვევაზე იყო საუბარი. გთხოვთ გაითვალისწინოთ; მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად, მიღებული დადებითი შედეგი კიდევ გადამოწმდება, რა თქმა უნდა, მოულოდნელად.



ამავე დროს, გთხოვთ, ჩვენთან ურთიერთობაში შემოიფარგლოთ მხოლოდ გამჭვირვალე მეთოდებით: www.momxmarebeli.ge ვებპორტალზე ან ფეისბუქის შესაბამის გვერდზე (<http://www.facebook.com/momxmarebeli.ge>) კომენტარებით, ან ორგანიზაციის ტელეფონზე დარეკვით.

ინფორმაცია ჩვენს მიერ აღმოჩენილი ფაქტის შესახებ აგრეთვე გადაეგზავნა სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი

მომხმარებელი.გე

www.momxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს



სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ლაბორატორია

ქ. თბილისი ვასო გომიაშვილის ქ.# 49 +995 32 253 09 68
www.lma.gov.ge

დამტკიცებულია
საიდენტიფიკაციო #:
F-003-2016-G
თარიღი: 01.08.2018
ვერსია: 14

გამოცდის ოქმი #639

რეგისტრაციის # და გაცემის თარიღი	639	21.02.2019
მასალის/ნიმუშის მიღების თარიღი	15.02.2019	
ვის ეკუთვნის მასალა/ნიმუში	ქ.თბილისი. დელისის I შესახვევი 5ა. ა.ა.ი.პ. სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი თამარ გობეჯიშვილი	
რა მასალა/ნიმუშია გადმოგზავნილი	ხაჭო	
მასალა/ნიმუშის რაოდენობა	1 (ერთი)	
რა სახითაა მიღებული მასალა/ნიმუში	ხელშეკრულება #321; დაულუქავი	
მიღებულია გამოსაცდელად	რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა;	
ვის ეგზავნება პასუხი	თამარ გობეჯიშვილი	
გამოცდის მეთოდი	ISO 17678:2010	

მიღებულია გამოსაცდელად	ნორმა	გამოცდის შედეგი	გამოცდის მეთოდი
რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა	-	პროდუქტი რძის ცხიმის გარდა შეიცავს სხვა ცხიმების ნარევის, მათ შორის მცენარეულ ცხიმებს.	ISO 17678:2010

შენიშვნა:



ცხოველთა დაავადებების
დიაგნოსტიკის დეპარტამენტის
უფროსი

/ მ. დონდუაშვილი /

სურსათის კვლევის დეპარტამენტის
უფროსი
/მ. ღვინჯილია/ 13.02.19
მცენარეთა მავნე ორგანიზმების
დიაგნოსტიკის დეპარტამენტის
უფროსი
/ ე. გვრიტიშვილი /

სსიპ საქართველოს სოფლის
მეურნეობის სამინისტროს
ლაბორატორიის დირექტორი

ნიმუშების რეგისტრაციისა და
სტატისტიკური დამუშავების
განყოფილების უფროსი

/მ. სოსელია/





თიბისი | TBC

Carrefour (KAR)

7 Dadiani Str - Tbilisi
 ბუკინგის ID: SH003976

ჩეკი 4066

MasterCard
 5189 74... 2740

AID: A0000000041010
 LABEL: MasterCard

კაშის კოდი: 000

კაშის დასრულების თარიღი: 15.02.19



6045100101511902151420

ქონლო ზედნადები

ქონლო ზედნადები # ელ- 0433074409

3 14:23:31
 დრო (საათი, წუთი)

404923749 5 ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი 204873618
 (დღა-ს გადახდილი)

იფიკაციო/პირადი ნომერი მყიდველის (მიმღების) დასახელება, ან სახელი და გვარი საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

7 მარკეტი ქარვასლა მოლი დადიანის 7

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8 X

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

10 X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისამართი

12 გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი მყიდველი - 0

თანხა ლარებში

ქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი*
1	ხაჭო 4%	21052149	კგ	0.6220	8.1029	5.0400

13 5.04 - ხუთი ლარი და ოთხი თეთრი
 მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვით)

14 გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15 მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16 ხელმოწერა

17 ხელმოწერა

18 მიწოდებული საქონლის ჩაბარების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) 15/02/2019 დრო (საათი, წუთი) 14:23:31

19

Carrefour  კარფური

ხაჭაპური 4%
COTAGE CHEESE 4%



00000681
15.02.19
14:08
18.02.19
weight
0.31kg
price
8.10